წარმომადგენლებისა და ფსიქოლოგების ურთიერთთანამშრომლობით.

ᲛᲔᲡᲢᲘᲐᲨᲘ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲡ-ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲧᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ

2019 წლის 25 დეკემბერს მესტიაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრების 42 წლისადმი მიძღვნილი კონცერტი ჩატარდა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მესტიის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის, მესტიის საჯარო სკოლებისა და ლატალის საჯარო სკოლის მოსწავლეები.

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲛᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲡ-ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲡ ᲘᲜᲢᲠᲝᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲛᲘᲣᲚᲝᲪᲔᲡ

2019 წლის 24-26 დეკემბერს ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს აღსაყდრებიდან 42 წლისთავი მიულოცეს. საზეიმო ღონისძიებებში მონაწილეობდნენ პატრიარქის ნათლულთა გუნდი (ხელმძღვანელი ნინო მიქაბერიძე), თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სტუდენტები, ანსამბლი ,,იალონი", ანსამბლი ,,სათანაო", მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის მევიოლინეები სახელწოდებით „სიმი" და სხვ.

მობრძანდა ბ-ნი პაატა ბურჭულაძეც ახალგაზრდა შემსრულებლებთან ერთად, რომელთა შორის იყო 10 წლის ცოტნე ზედგინიძეც. მან შეასრულა საკუთარი ორი საფორტეპიანო ნაწარმოები, რომელთაგან ერთი მისი უწმინდესობისთვის დაწერა, მეორე კი გია ყანჩელისთვის.

მისმა უწმინდესობამ დალოცა სტუმრები და წარმატებული მოღვაწეობა უსურვა.

ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ

19 დეკემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) ეკლესიაში ერთგული მსახურებისათვის არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანა სოფ. ზედა საქარის წმ. გიორგის სახ. მამათა მონასტრის წინამძღვარი, **იღუმენი ადამი (იმნაძე),** ხოლო ზესტაფონის წმ. გიორგის სახ. ეკლესიის მღვდელმსახური **ნიკოლოზ კაპანაძე** აყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში ოქროს ჯვრის ტარების უფლებით.

ᲑᲔᲠᲐᲓ ᲐᲦᲙᲕᲔᲪᲐ

2 იანვარს სამთაწყაროს წმ. ნინოს სახ. მამათა მონასტერში ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (კაპანაძე) ბერად აღკვეცა იმავე მონასტრის მორჩილი **ირაკლი ფაილოძე** და სახელად **გიორგი** უწოდა.

***

2 იანვარს დედოფლისწყაროს წმ. ილია თეზბიტელის სახ. მამათა მონასტერში ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (კაპანაძე) ბერად აღკვეცა იმავე მონასტრის მორჩილი **თორნიკე მიღდისელი** და სახელად **დანიელი** უწოდა.

ᲮᲔᲚᲓᲐᲡᲮᲛᲐ

5 იანვარს ზარიძეების წმ. გიორგის სახ. ეკლესიაში თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპისკოპოსმა მიქაელმა (გაბრიჭიძე) დიაკვნად აკურთხა **ბერი გაბრიელი (კოხრეიძე).**

***

12 იანვარს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. კვალითის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) დიაკვნად აკურთხა ამავე ეკლესიის მედავითნე **სერგი ივანეიშვილი** და სახელად **სპირიდონი** უწოდა.

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲡᲐᲑᲐᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲠᲩᲔᲜᲐᲓ

პატარა 3 წლის საბა რუხაძეს აქვს ძალიან იშვიათი და რთული გულის კომბინირებული მანკი. სამწუხაროდ, მისი მსგავსი პაციენტების წარმატებით მკურნალობის სტატისტიკა საქართველოში არ არსებობს. კლინიკურად დადგენილი აქვს მრავლობითი დიაგნოზი და როგორც პაციენტი წარმოადგენს ძალიან რთულ, იშვიათ სამედიცინო შემთხვევას. საქართველოში ასეთი რთული დიაგნოზების მქონე პაციენტის კომპლექსური მკურნალობის სტატისტიკური ინფორმაცია არ მოიპოვება, თუ არ ჩავთვლით მხოლოდ ექსპერიმენტულ დონეზე ოპერაციული მკურნალობის შესაძლებლობას.

საბა რუხაძე დატოვებულია უყურადღებოდ, არ ეძლევა საზღვარგარეთ მკურნალობის შესაძლებლობა, აუცილებელია პაციენტის უცხოეთის კლინიკაში გამგზავრება. ოჯახს არა აქვს საზღვარგარეთ მკურნალობის სრული ფინანსური საშუალება.

ქრონიკა. ინფორმაცია.

კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსისა და მსოფლიო პატრიარქ ბართლომეოს I-ის სამძიმრის წერილი

უწმიდესო და უნეტარესო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქო, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსო და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტო, ქრისტესმიერო უსაყვარლესო და სასურველო ძმაო და თანამსახურო ბატონი ილია, ძმური სიყვარულით ვეხვევი თქვენს უნეტარესობას და მოგახსენებთ: დიდი მწუხარებით შევიტყვეთ მასმედიის მეშვეობით მცხეთა-მთიანეთში მომხდარი უბედური ავარიის შესახებ, რის შედეგადაც ტრაგიკული სიკვდილით გარდაიცვალა ჩვიდმეტი ადამიანი, ხოლო სხვა გადარჩენილი ტრავმირებულები გადაყვანილ იქნენ საავადმყოფოში.

ლოცვით მოვაპყრობთ რა ჩვენს სულიერ მზერას თქვენი ყოვლად პატივცემული და დიდად საყვარელი უნეტარესობის, საქართველოს ღვთისმოსავი ერისა და მოძმე წმინდა ეკლესიის მიმართ, გამოვხატავთ მსოფლიო საპატრიარქოს და პირადად ჩემს ღრმა თანაგრძნობას და ვლოცულობთ თქვენთან ერთად, რომ უფალმა ღმერთმა მიანიჭოს შვება, უსამართლოდ გარდაცვლილ ჩვენს უდანაშაულო მოძმეთა სულებს, შევთხოვთ უფალს ასხუროს ნუგეშის სალბუნი მათი ოჯახების წევრების გულებს, და მთლიანად საქართველოს მგლოვიარე, მამაც და მოწამე ერს, რომელთანაც ჩვენი კონსტანტინეპოლის ეკლესიას აკავშირებს განსაკუთრებული სიყვარულისა და სოლიდარობის ძლიერი და უშრეტი კავშირი, მისცეს ზეციერი ნუგეში.

ყოველივე ამით, გემშვიდობებით, გეხვევით და გეამბორებით ქრისტესმიერი წმინდა ამბორით, უდიდესი პატივისცემითა და ძმური სიყვარულით.

25 აგვისტო, 2020 წელი

დაჯილდოება

28 აგვისტოს, თბილისის სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საპატრიარქო ტაძარში, კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით სიონის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახური **დეკანოზი გიორგი სანამაშვილი** დაჯილდოვდა მეორე გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით.

***

28 აგვისტოს, მარიამობის დღესასწაულზე, ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) ბაგრატის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ეპარქიის მღვდელმსახურნი დააჯილდოვა.

მეორე ჯვრის ტარების უფლებით დაჯილდოვდნენ: დეკანოზი როსტომ კუჭუხიძე, დეკანოზი ავთანდილ გრძელიძე, დეკანოზი გიორგი გაბუნია.

მიტრის ტარების უფლებით დაჯილდოვდნენ: დეკანოზი უჩა ასათიანი, დეკანოზი რომანოზ აბზიანიძე, დეკანოზი ლაზარე კანდელაკი.

გამშვენებული ჯვრით დაჯილდოვდნენ: დეკანოზი გიორგი ხარაბაძე, დეკანოზი ნიკოლოზ ნიკოლეიშვილი, დეკანოზი შიო გაგოშიძე, დეკანოზი იოანე მიხელიძე, დეკანოზი ექვთიმე ჩივაძე, დეკანოზი დავით ხელაძე, დეკანოზი მატათა ქარქაშაძე, დეკანოზი პანტელეიმონ ხუბულავა.

ოქროს ჯვრით დაჯილდოვდნენ და დეკანოზის ხარისხში აღყვანილ იქნენ: მღვდელი არტემ კორკოტაძე, მღვდელი არჩილ დათეშიძე, მღვდელი მათე ჯანელიძე, მღვდელი ილარიონ დვალიშვილი, მღვდელი იოანე მინაძე, მღვდელი კვირიკე ბოჭორიშვილი.

ხელდასხმა

23 აგვისტოს, ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი), ბაგრატის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში დიაკვნად დაასხა ხელი გელათის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის მამათა მონასტრის წევრს, ბერ რაჟდენს (ყაჭეიშვილი). ბერ-დიაკონი რაჟდენი გელათის ტაძარში იმსახურებს.

***

30 აგვისტოს, ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი), ბაგრატის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში დიაკვნად აკურთხა ბერი კონსტანტინე (აბდალაძე).

ბერ-დიაკონი კონსტანტინე ბაგრატის საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

ტაძრის კურთხევა

19 აგვისტოს, ფერისცვალების დღესასწაულზე აბასთუმანში, წმინდა პანტელეიმონ მკურნალის სახელობის მონასტრის ეზოში ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ

(ჭუაძე) აკურთხა მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძრისთვის განკუთვნილი ადგილი.

ამ ტერიტორიაზე ტაძართან ერთად იგეგმება სამრეკლოსა და ტაძრისათვის აუცილებელი სხვა ნაგებობების აშენებაც. მეუფე თეოდორე და მონასტრის დედები მადლიერებით აღნიშნავენ, რომ

მშენებლობას დააფინანსებს ბიძინა ივანიშვილის ოჯახი.

***

17 სექტემბერს, წმ. წინასწარმეტყველი მოსეს ხსენების დღეს, ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) აკურთხა სოფელ გუმბრასთან მდებარე ღირსი მოსე შავის სახელობის მამათა მონასტრის ტაძარი.

გამოსაშვები საღამო

20 სექტემბერს, ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანნის" პროექტი „წიგნიერი და პატრიოტი თაობის" მე-12 თაობის მონაწილეთა გამოსაშვები საღამო გაიმართა. პროექტში მონაწილეობდა 40-მდე სკოლის 200 მოსწავლე.

შეხვედრაზე გაჟღერდა ახალი ინიციატივა საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისა და „დავითიანნის" ერთობლივი პროექტის განხორციელების შესახებ. მომავალი პროექტი დაიწყება ოქტომბრის თვეში.

ენკენია, ხსენება ქრისტეს აღდგომის ტაძრის განახლებისა იერუსალიმში

13 (26) სექტემბერი

ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს ჯვარზე ვნების, აღდგომისა და ზეცად ამაღლების შემდეგ, ის წმინდა ადგილი, სადაც კაცთა ხსნა აღესრულა, ქრისტეს მტრების ხელში მოექცა და შეიბილწა. მაცხოვრის მიწიერ ცხოვრებასთან დაკავშირებული წმინდა ადგილები განსაკუთრებით რომის იმპერატორმა ადრიანემ დაარბია და შებილწა საეშმაკო კერპებითა და მათი თაყვანისცემით; შემდეგ ბრძანა, მიწითა და ქვებით ამოევსოთ უფლის საფლავი და ზედ ზევსის კერპი დადგა, ხოლო გოლგოთაზე, უფლის ჯვარცმის ადგილას, ქალღმერთ ვენერას ტაძარი ააგო და მის კერპი აღმართა. ასევე ბეთლემში, სადაც უფალი იშვა, უწმინდურმა მეფემ ადონისის კერპი აღამართვინა. ეს ყველაფერი მხოლოდ იმისათვის გააკეთა, რომ მომავალ თაობებს სრულიად დავიწყებოდათ ქრისტეს სახელი. მაგრამ ღმერთმა, რომელმაც ჭეშმარიტი სარწმუნოების ნათლით

ცნობილია, აღნიშნული მსახურება დიდი ხნის მანძილზე თითქმის არ სრულდებოდა მართლმადიდებელ ეკლესიაში, მათ შორის საქართველოში. მისით დაინტერესება ძირითადად ბოლო საუკუნეებში მოხდა. ამასთან მიჩნეულია, რომ იერუსალიმური ტრადიციის ამ ჟამისწირვის უძველესი რედაქციები ყველაზე სრული სახით ქართულ ხელნაწერებშია დაცული. ამიტომაც მართებული მსახურების აღდგენისათვის ისინი წარმოადგენს ფასდაუდებელ ლიტურგიკულ წყაროს მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიისათვის.

არსებული მასალა ადასტურებს, რომ სასულიერო პირთაგან ამ წირვის აღსრულება ხდებოდა მხოლოდ ტაძრის საკურთხეველში. საკურთხევლის გარეთ კი მისი ჩატარება, აუცილებლობის გარეშე, დაუშვებელია.

ამდენად, მღვდელ-მონოზონთა, – იერონიმესა და ირინეოსის, – ქმედებები არის ყოვლად გაუმართლებელი და საეკლესიო სასჯელს ექვემდებარება.

ვიმედოვნებთ, მროველ-ურბნელი მიტროპოლიტი იობი (აქიაშვილი), რომლის უშუალო დაქვემდებარებაშიც ისინი არიან, ეკლესიის ერთობის წინააღმდეგ მიმართულ მათ ამ და სხვა ქმედებებზე მოახდენს სათანადო რეაგირებას, რათა ეს და მსგავსი ცთომილებები აღმოიფხვრას.

დაარსდა ა(ა)იპ „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ფონდი მოწყალე სამარიტელი"

ა.წ. 13 ოქტომბერს დაფუძნდა ა(ა)იპ „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ფონდი მოწყალე სამარიტელი", რომელიც მიზნად ისახავს საქველმოქმედო მიზნების განხორციელებას, ეროვნებისა და აღმსარებლობის მიუხედავად გაჭირვებული ადამიანების დახმარებას.

თანხის შეტანა, როგორც ქართული, ისე უცხოური ვალუტით, შესაძლებელია შემდეგ ანგარიშზე GE61BG0000000366088673.

ხელდასხმა

4 ოქტომბერს ქარელის ყოვლადწმინდა სამების სახ. საკათედრო ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიაკვნად აკურთხა კერძო **დიაკონი ევსტატი მანაგაძე**.

დიაკონი ევსტატი ქარელის ყოვლადწმინდა სამების სახ. საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

ცნობა

17 ოქტომბერს მღვდელმსახურებთან საპატრიარქოსაგან დაიგზავნა სმს შეტყობინება, საჭიროა მსახურებისას, მრევლმა გამოიყენოს პირბადე, დაიცვას დისტანცია, მსახურების შემდეგ მოხდეს ტაძრის დამუშავება სადეზინფექციო საშუალებებით.

საქართველოს საპატრიარქოს ინიციატივით დიპლომატიურ კორპუსთან სამუშაო შეხვედრა ჩატარდა

ა.წ. 9 ოქტომბერს საქართველოს საპატრიარქოს ინიციატივით და ორგანიზებით საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის ქართულ უნივერსიტეტში შედგა სამუშაო შეხვედრა საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიური კორპუსის, გაეროს, ევროკავშირის, ევროსაბჭოს, ებერტის ფონდის, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, გაეროს მოსახლეობის ფონდის, შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს, კონრად ადენაუერის ფონდის და ევროპის ფონდის წარმომადგენლებთან.

შეხვედრის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი), პატრიარქის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ქართულ უნივერსიტეტში ბოდბელმა მთავარეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი), თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის რექტორმა პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ, საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა დეკანოზმა ანდრია ჯალმაიძემ, საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ, საქართველოს საპატრიაქროს წარმომადგენელმა ინტერრელიგიურ საბჭოში, პროფესორმა თეა გოგოტიშვილმა, არასამთავრობო ორგანიზაცია კავშირი „21-ე საუკუნის" გამგეობის თავმჯდომარემ ბ-ნმა პაატა გაჩეჩილაძემ.

განხილული იქნა სახელმწიფო-საეკლესიო ურთიერთობებისა და ინტერრელიგიური დიალოგის მნიშვნელოვანი საკითხები.

მომხსენებლებმა სტუმრებს გაუზიარეს ხედვები რელიგიური გაერთიანებების სტატუსის, რესტიტუციის, სახელმწიფოსა და რელიგიურ გაერთიანებებს შორის ფინანსური ურთიერთობების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.